დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ბუაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

დავით ჩივაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი
ეკატერინე მიქაუტაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი
ნიკა უთალიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი,
ინგა გელაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,წევრი,
მაკა გიორგბერიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვერა გუდაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი,
მარიამი ღუბელაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,წევრი,
ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,წევრი,
მიხეილ გაფრინდაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი,
მანანა როსტომაშვილი,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**237101970**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ozurgeTis municipaliteti,daba laiTuri**
იურიდიული მისამართი	**ozurgeTis municipaliteti,daba laiTuri**
ფაქტობრივი მისამართი	**ozurgeTis municipaliteti,daba laiTuri**
საფოსტო ინდექსი	**3513**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**-**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skola.laituri@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577 94 11 51**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 2 23 0000904810
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	14-15 აგვისტო2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	დაწყებითი საფეხური	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,დაბა ლაითური
2.	საბაზო საფეხური	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,დაბა ლაითური
3.	საშუალო საფეხური	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,დაბა ლაითური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 14-15 აგვისტოს, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მაია ბუაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე)
2.დავით ჩივაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,წევრი
3.ეკატერინე მიქაუტაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი
4.ნიკა უთალიშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
5.ინგა გელაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
6.მაკა გიორგბერიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
7.ვერა გუდაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,
8.მარიამი ღუბელაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
9.ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
10.მიხეილ გაფრინდაშვილი-სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
11.მანანა როსტომაშვილი,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (ქიმია-ბიოლოგია და ფიზიკა), რომელიც შეისწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლებს, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

14 აგვისტოს teams-ის საშუალებით სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო 15 აგვისტოს teams-ის საშუალებით კათედრების მიხედვით, საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვასა და შეფასების სისტემებზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
	385	

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა **შესაბამისად** შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	**<u>01.10.2023-30.10.2023 პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს პედაგოგების მიერ</u> ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა.**
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის	**<u>13.10.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული</u>**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	<u>შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასკვნის წარმოდგენა.</u>
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	<u>01.09.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა.</u>
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	<u>01.09.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა,რომელზეც განთავსდება ინფორმაცია ქართულ ენაზე.</u>
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი	<u>01.09.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლამ უზრუნველყოს ვებ გვერდის შექმნა, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	. სასურველია,სკოლამ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გააანალიზოს წელიწადში მინიმუმ ორჯერ.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ. განსაზღვრული;	**სასურველია,სკოლამ** სკოლ თანამდებობრივი ინსტრუქციებისა დ ძირითადი და დამხმარ სტრუქტურული ერთეულებ უფლებამოსილებისა და საქმიანობ რეგულაციების დოკუმენტებ დაამატოს მრჩეველთა საბჭოს სამუშა აღწერილობისა და უფლებ მოვალეობების შესახებ ჩანაწერი.
ინდიკატორი 3.4.1.6.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სასურველია,სკოლამ იზრუნოს გასახდელი ოთახების გამოყოფასა და კლასგარეშე აქტივობების განსახორციელებელი სივრცეების მოწყობაზე.
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სასურველია ,ბიბლიოთეკა განთავსდეს პირველ სართულზე,რათა ხელმისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის.
ინდიკატორი 3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	სასურველია,სკოლამ გამოყო საკმარისი სივრცე ბიბლიოთეკაშ სამკითხველო დარბაზის მოსაწყობად
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური,საბაზო,საშუალო)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ვინაიდან მათემატიკის სხვა კლასების კურიკულუმებში მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა წარმოჩენილია როგორც სამიზნე ცნებები, I-IV კლასის კურიკულუმებშიც აისახოს იმავენაირად.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	**სასურველია,სკოლამ სრულყო** კურიკულუმის მონიტორინგისა დ შეფასების მექანიზმები სამოკ საფეხურზე.
ინდიკატორი 2.1.3.1	.შემუშავებული კურიკულუმი/ებ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**სასურველია,**სკოლამ უზრუნველყოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განსხვავებული თეორიული თემების შეტანა თითოეულ კლასში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.1.3.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	სასურველია,მათემატიკაში, საბაზო და საშუალო საფეხურების კლასებში კომპლექსური დავალების იდეაში სკოლამ შეიტანოს კომპლექსური დავალების მოკლე აღწერა ან სათაური, ხოლო ძირითად კონტექსტ მაგალითში მოკლედ წარმოადგინოს, თუ რომელ კონტექსტზე, რომელ რეალურ სიტუაციაზეა აგებული არჩეული კომპლექსური დავალება; ასევე მნიშვნელოვანია სწორად იყოს შევსებული მაგალითი შედარებისთვის.
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასურველია,თემა „ოლიმპიზმში“ გამოიყოს საკითხები თითოეული კლასის მიხედვით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა : ეფექტური, უსაფრთხო, მოდერნიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა, რომელიც მოწოდებულია, აღზარდოს პატრიოტი, თავისუფლად მოაზროვნე, სოციალურად აქტიური მოქალაქე, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კონკურენტუნარიანი იქნება დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში და მომავალში პროდუქტიულ წვლილს შეიტანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.სკოლას შემუშავებული აქვს ხედვა.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ზრუნავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და გეგმავს შესაბამის აქტივობებს. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მისიისა და ხედვის შესაბამისად შემუშავებულია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა. სკოლაში მოქმედებს წესებისა და ნორმების სისტემა, რაც ასახულია სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში. შექმნილია თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მხარდამჭერი ჯგუფი.

ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია შემუშავებულია სკოლის დირექციის მიერ. სკოლაში ვიზიტისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა,რომ მომავალი სასწავლო წლის სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის მისიისა და ხედვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია,რომელშიც იკითხება სკოლის მისიის,ხედვისა და ღირებულებების,როგორც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განსახორციელებელი პროცესის,შესახებ.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებულია სკოლის მისიის ,ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების მექანიზმები.სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა,რომ სკოლა 2023-24 სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავს სასკოლო საზოგადოებისათვის კორექტირებული მისიისა და ხედვის გაზიარებას სხვადასხვა ხერხით, კერძოდ, დამრიგებლების ჩართულობით კლასის მშობელთა კრებაზე, სკოლის ვებგვერდზე განთავსებითა და საინფორმაციო ფურცლების გავრცელებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები იკითხება როგორც სასკოლო სასწავლო, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმებში. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის გასაჯაროების მექანიზმებს, კერძოდ, სკოლის სოციალურ ქსელში გაზიარებას. სადამრიგებლო პროგრამებით გათვალისწინებულია მშობელთა კრებებზე სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6.საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით,სკოლის სახელწოდება, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 სექტემბრის N448 ბრძანებით დადგენილ სტატუსს. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- მისიისა და ხედვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-64, 09.08.2023წ.
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-61,09.08.2023წ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,რომელშიც იკითხება სკოლის საჭიროებების შესწავლისა და დოკუმენტის შემუშავების მექანიზმები, ჩართულობის, გაზიარებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჯაროობის პროცედურები. განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. სკოლას შექმნილი ჰყავს სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდი,რომლის ორგანიზებით გეგმავს სკოლის საჭიროებების შესწავლას.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა. სკოლას შექმნილი ჰყავს სკოლის საჭიროების დადგენისა და სტრატეგიული განვითარების შემსწავლელი გუნდი,რომლის ორგანიზებითაც გეგმავს სკოლის საჭიროებების შესწავლას და სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნას,რომელიც იქნება შვიდწლიანი, ციკლური და დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 1.09.2023-3.10.2023. პერიოდში სკოლამ უზრუნველყო სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავება.</u>

ინდიკატორი 1.2.1.2. მეტწილად შესაბამისია.

3. სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა,რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას გამოყენებულია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშები და შეფასებები. ვიზიტისას სკოლის დირექციასთან ინტერვიუსას გამოიკვთა,რომ 2023-24 სასწავლო წლისთვის იგეგმება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე სტრატეგიული განვითარების ახალ გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამ მიზნით სკოლის დირექტორის მიერ ზემოთ აღნიშნული, დამტკიცებული ჯგუფის მიერ მოხდება 2022-23 სასწავლო წლის ანალიზი და რეფლექსია. რეფლექსიის საფუძველზე ამავე სასწავლო წელს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენა, სადაც მითითებული იქნება, სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიზანი, მიზნის შესაბამისი ამოცანა, ამოცანის შესაბამისი აქტივობები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირი, გაზომვადი ინდიკატორები. სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იქნება კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. .სკოლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის ფორმით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, შესრულების ინდიკატორები გაზომვადია და ვადებიც რეალისტურადაა მითითებული.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო-გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-61,09.08.2023წ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,რომელშიც იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და პროცედურები.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს.სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას აღინიშნა ,რომ სკოლა გეგმავს ისეთი მექანიზმების დანერგვას,რომ ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდეს ყველა სტრუქტურული ერთეული და დასაქმებული, თავისი გაწერილი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად. მაგალითად,იგეგმება,რომ საქმისწარმოების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში მოამზადოს საქმისმწარმოებელმა, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელმა პირმა ყოველკვირეული მონიტორინგის საფუძველზე წარმოადგინოს ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ,ინკლუზიური განათლების შესახებ-ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფმა და სხვ. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, ანგარიშის საჯაროობას უზრუნველყოფს ის, რომ სკოლა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიურ საბჭოს. ანგარიში წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ. გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით,გეგმავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გააანალიზოს წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე;ამავე დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილია მონაცემების შეგროვება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. შეფასების კომპონენტით დაგეგმილია შეგროვებული მონაცემების გაანალიზება და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრა. სკოლა გეგმავს წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების ანგარიშის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის გადახედვასა და მასში ცვლილებების შეტანის საჭიროების განსაზღვრას. მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, დაგეგმილია ანგარიში საფუძვლად დაედოს შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-61,09.08.2023წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებისა და საქმიანობის რეგულაციების დოკუმენტებით,რომლებშიც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

- დირექცია (დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი);
- ადმინისტრაცია (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, დამლაგებელი, დარაჯი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი (სპეც. მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი);
- სამეურვეო საბჭო;
- პედაგოგიური საბჭო;
- მოსწავლეთა თვითმმართველობა;
- დისციპლინური კომიტეტი;

სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებითა და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო,თუმცა სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტაციაში მის შესახებ ჩანაწერი არ იკითხება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებისა და საქმიანობის რეგულაციების დოკუმენტებით, დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით რეგულირდება სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები სკოლაში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურული ერთეულისა და დასაქმებულების დაკონკრეტებული გავლენის სფეროები, რეგულაციები და წესები ხელს უწყობს მიზნობრივი ამოცანების განსაზღვრას და ზრდის თანამშრომელთა საშემსრულებლო კულტურასა და პასუხისმგებლობას. სკოლამ წარმოადგინა საშტატო ნუსხა, რომელშიც წარმოდგენილია დასაქმებული პირების თანამდებობები.

სკოლის მიერ შემუშავებულ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია ინფორმაცია პასუხისმგებელი პირების/ერთეულების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
საშტატო ნუსხა
სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები
სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები

სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით. სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული აქვს:

- შინაგანაწესი (სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას - ცვლის ხანგრძლივობა, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები,წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები);
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასაქმებულთა შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები ინახება თანამშრომელთა პირად საქმეებში მატერიალური სახით და ატვირთულია Eschool-ის ბაზაში. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას დასაქმებულების საჭიროებების დადგენისათვის შემუშავებული აქვს ფორმალური (წერილობითი) და არაფორმალური საშუალებები. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით. ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირებისა და თანამშრომელთა თვითშეფასების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიულ საჭიროებები (ტრენინგები, კონფერენციები, ვებინარები და ა.შ.). სკოლას პრევენცისა და ინტერვენციისთვის ჰყავს პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე), რომელიც რომელიმე მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, ახდენს გაკვეთილის გადანაცვლებას ან მასწავლებლის ჩანაცვლებას. ასევე ხდება ტექნიკური პერსონალის მართვის დროსაც.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის წესი, რომლის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა. კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანტური ადგილის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე. თანამშრომელთა მიღება ხდება დირექტორი ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, რომელიც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებს თითოეულ კანდიდატს.

საკონკურსო მასალების გაცნობით (საკონკურსო სხდომის ოქმებით) დგინდება, რომ გამჭვირვალეა ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი).თანამშრომლების პირადი საქმეების გადახედვისას აღმოჩნდა,რომ პედაგოგებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ინტერვიუსას სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს აღნიშნული ხარვეზის სექტემბრისათვის აღმოფხვრის მზაობა.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. 01.10.2023-30.10.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს წარმოადგინოს პედაგოგების ცნობები ნასამართლობისა და სქესობრივი</u> თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად შესაბამისია.

4.სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.1.2.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ხელმძღვანელს განმარტებით, სკოლის ხელს უწყობს თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას, პერსონალს შორის მოსმენის, პატივისცემის, კომუნიკაციის კულტურის ჩამოყალიბებას სკოლაში განხორციელებული სასკოლო პროექტებითა და სხვა სახის ღონისძიებებით. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები სკოლის შინაგანაწესის მიხედვით მადლობის გამოცხადება, სიგელები და სხვ. ასევე დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას გამოკვეთა, რომ სკოლას აქვს წარმატების გაზიარების მექანიზმი(იყენებენ facebook გვერდს) :ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ჯილდოვდებიან სიგელებით იმ წარმატებული კურსდამთავრებულების მასწავლებლები, რომელთა დამსახურებით ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას მათ აჩვენეს მაღალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგები. სკოლის მიერ განხორციელდა ორი პედაგოგის წარდგენა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევებისათვის, განსხვავებული წესით მენტორის სტატუსის მინიჭებაზე.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებით;

საშტატო განრიგი;

პერსონალის პირადი საქმეები;

ბრძანებები კონკურსის გამოცხადების შესახებ;

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ემსახურება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი და შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების ფორმები , ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებები,მასწავლებლების, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის შემდგომი განვითარებისა და პროფესიული ზრდისთვის და ა .შ. დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს,რომ პედაგოგთა საჭიროებების დადგენა ხდება კითხვარის გამოყენებით, ზეპირი კომუნიკაციით, კრიტიკული მეგობრის საშუალებით, ან ხარისხის მართვის ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრებით. მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს აამოქმედოს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი:შეიმუშაოს შეფასების გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი კრიტერიუმები, რომლებიც წინასწარ იქნება ცნობილი პერსონალისათვის. განისაზღვრება მონაცემთა შეგროვებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებლები შეიმუშავებენ თვითგანვითარების გეგმას და ირჩევენ საჭიროებებიდან გამომდინარე ტრენინგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოდულებს. გარდა ამისა,სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება. დირექტორის განმარტებით, ერთობლივი მუშაობა სამიზნე საკითხებზე, სამუშაო შეხვედრები და ურთიერთსწავლება სკოლის ყველა პერსონალის განვითარებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს შექმნას პერსონალის კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს პედაგოგების წინსვლასა და განვითარებას გამოცდილების გაზიარებით, ე.წ. ,,კრიტიკული მეგობრით", ურთიერთდასწრებით. ასევე დამსაქმებელს ხელშეკრულებით აქვს განსაზღვრული, რომ დასაქმებულმა უნდა იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, სკოლა უწყობს ხელს პედაგოგებს დარეგისტრირდნენ მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე. სკოლის სხვა პერსონალთან ნაკლებად დგინდება მათი პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამომავლოდ სკოლა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, გეგმავს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების მიხედვით დარეგულირებულია სასკოლო საზოგადოების ახალი წევრის ადაპტაციის პროცესი,აქტივობებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. მაგ.,სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე,თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში; თანამშრომლისთვის მისასალმებელი პოსტის დადება სკოლის დახურულ ჯგუფში, სოციალურ ქსელში/სკოლის ელექტრონული ფოსტიდან მისასალმებელი ტექსტის გაგზავნა; სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა ახალი თანამშრომლის მიღების შესახებ და ა .შ.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლში. სკოლა გამოიყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.სკოლამ ორი პედაგოგი წარადგინა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევებისათვის, განსხვავებული წესით მენტორის სტატუსის მინიჭებაზე.2023-24 სასწავლო წელს სკოლის სამეურვეო საბჭო გეგმავს მოიძიოს ფინანსები პერსონალის წასახალისებლად. **ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი
სამოქმედო გეგმა
სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
პერსონალის სოციალიზაციის პროცედურების დოკუმენტი
შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვისთვის, მისიის გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას. ადმინისტრირების ნაწილი მოიცავს: საგანმანათლებლო პრინციპებს, საგნობრივი პროგრამების მეთოდიკურ ორიენტირებს, არაფორმალური განათლების, ინკლუზიური განათლების, მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკას, რესურსებს და სასწავლო გეგმის მონიტორინგისა და სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის საკითხებს.სკოლის დირექტორთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა ,რომ სკოლაში მიმდინარეობს სკოლის მისიის გადახედვა, ახალი ხედვისა და ღირებულებების შექმნა, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მისიისა და ხედვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი და შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ამოქმედდება ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში: სასკოლო კურიკულუმში, შინაგანაწესში, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებისა და საქმიანობის რეგულაციებში, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მმართველობითი და დამხმარე პროცესები. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას;მკაფიოდ და ნათლადაა გაწერილი კონკრეტულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესი, ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის“ და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის,მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი,განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი,რომლებიც თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს აძლევს გასაჩივრების უფლებას ცალკეულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის შემადგენლობით. სასწავლო წლის დასაწყისში, მშობლებსა და მოსწავლეებს კრებებზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის შინაგანაწესის მიხედვით შესასრულებელი რეგულაციების, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია: მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დოკუმენტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისიისა და ხედვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
სასკოლო კურიკულუმი,
შინაგანაწესი,
ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებისა და საქმიანობის რეგულაციები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
მოსწავლის,მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი,
განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი,
პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი,
მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებებად გამოყენებული აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებები და შეხვედრები. სკოლა აქტიურად სარგებლობს office 365 - Outlook,ელექტრონული ჟურნალით, Teams-ითა და სოციალური გვერდი Facebook-ით. სკოლის დირექტორის განმარტებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების ყველაზე აპრობირებული მეთოდია მიმოწერა სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში.დამრიგებელს დებულებით ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სახელმძღვანელოების ნუსხა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა. მშობლებისგან უკუკავშირის მიღება ხდება კითხვარების საშუალებით(სკოლის თვითშეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები),2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს გამოძებნოს უფრო ეფექტური მექანიზმი მოსაზრებებისა და გამოცდილებების გასაზიარებლად.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. . სკოლაში შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების შემადგენლობით შემდეგი მართვის კოლეგიალური ორგანოები:

სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მასწავლებლები და მშობლები, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი (ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს),

დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

დისციპლინური კომიტეტის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორია შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზოს ტერიტორია. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, დამრიგებლის მეშვეობით ხდება მშობლის ინფორმირება და გაცდენის მიზეზის დადგენა. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური(სკოლას ჰყავს ორი მანდატური) და სადღეღამისო რეჟიმში მომუშავე 2 დარაჯი. .სკოლაში ვიზიტისას სკოლაში არ დაფიქსირებულა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, მათ შორის არც ცეცხლმაქრები, სართულებზე არ იყო წარმოდგენილი საევაკუაციო გეგმა. სკოლას აქვს საევაკუაციო გასასვლელი; სკოლის დირექტორმა ინტერვიუსას განაცხადა, რომ სკოლაში დაცულია ფიზიკური უსაფრთხოების ნორმები. საგანგებო სიტუაციებში ხდება სწრაფი რეაგირება და პირველადი დახმარების აღმოჩენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლას ჰყავს ექიმი, პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა დაცულია. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, შირმა, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი, კარადა, რომელშიც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი.მოთხოვნებს. სკოლის ექიმი აწარმოებს ავადობის შემთხვევების რეგისტრაციას ჟურნალში.სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ექიმის სამედიცინო სივრცის ფუნქციონირების დებულება.
სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე არ არის დამონტაჟებული ვიდეო კამერები.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროსთან გაგზავნილი წერილი შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესწავლის მოთხოვნასთან დაკავშირებით(31/07/2023) ; **სკოლამ ასევე წარმოადგინა** სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N-T45/08 „„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 10 ივნისის №308 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლისმე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება -500 მ -ზე მეტი ფართობის მქონე 2 შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების შესახებ. სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა,თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (31/07/2023).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. გეგმის მიხედვით, 15.09.2023-10.10.2023 პერიოდში სკოლამ უზრუნველყო სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.
18.08.2023წ.-18.10.2023წ. პერიოდში სკოლამ უზრუნველყო სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;
13.10.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის სფეროში აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასკვნის წარმოდგენას.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე - რეაგირების ვადები და პირობები.ასევე სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი; სკოლას აქვს პედაგოგების მორიგეობის განრიგი . დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციაა სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციის შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლის შენობაში მოწყობილია სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სკოლის ეზოში არსებული ღია სპორტული მოედანი საჭიროებს რეაბილიტაციას.სკოლის ეზოში არის ძველი შენობა,რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას: ჰყავს ფსიქოლოგი; სკოლის ხელმძღვანელის თქმით,დამრიგებლები ატარებენ კლასის საათს , რომლებზეც განხილული თემატიკა მოიცავს სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირების საკითხებს.სკოლის მიერ წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამას აქვს ცხრილის ფორმა, რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. სკოლის ინფრასტრუქტურა, დიდი,ნათელი საკლასო ოთახები, ეზო და დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციას.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ექიმი პასუხისმგებელია სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, რაც დასტურდება ექიმის შრომითი ხელშეკრულებითა და სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულებით. სკოლა არის სამსართულიანი და ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილი გოგონებისთვის/ვაჟებისთვის და ადაპტირებული სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები, თხევადი საპონი.
 სკოლის საშტატო ნუსხით სკოლას ემსახურება 5 დამლაგებელი.
საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებები, თხევადი საპონი, სადეზინფექციო საშუალებები, ინახება ჩაკეტილ ოთახში.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლას დოკუმენტად შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს და განსაზღვრავს მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებსა და მათ უფლებებს.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6.დირექტორის განცხადებით, სკოლაში უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცულობა, არ ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დოკუმენტი,რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მონაცემთა უსაფრთხოების მექანიზმები (მუხლი 13),თუმცა სკოლას არაქვს შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. დირექტორის განცხადებით, სკოლა გეგმავს პერიოდულად შეაფასოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა. მანდატურების სამსახურის დახმარებით ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების შეფასებას და ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს სკოლის თვითმმართველობის დახმარებით განახორციელოს პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის ძალადობისა და ბულინგის მართვას. სკოლა ასევე გეგმავს სკოლის თვითშეფასების შემუშავებისას ჩაატაროს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების გამოკითხვა სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებთან დაკავშირებით და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავებს გამოვლენილი საჭიროებების აღმოსაფხვრელ მექანიზმებს.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია .....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

ექიმის შრომითი ხელშეკრულება;
სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი;
სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროსთან გაგზავნილი წერილი შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესწავლის მოთხოვნასთან დაკავშირებით(31/07/2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ოზურგეთის დაბა ლაითურის საჯარო სკოლას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურული რესურსი, რომ განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლა არის 3- სართულიანი და მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში,დაბა ლაითურში.

უძრავი ქონების საკადასტრო ნომერია N 26.25.01.517

მიწის დაზუსტებული ფართობია:11796.00 კვ.მ.

შენობა-ნაგებობის საერთო ფართია: 4081.16 კვ. მ

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან უვადოდ.

სკოლის შენობა ერთი სამსართულიანი კორპუსისგან შედგება: პირველ სართულზე განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, რესურს ოთახი, ექიმის ოთახი, სპორტული დარბაზი,კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია,დარაჯის ოთახი,მანდატურის ოთახი, სველი წერტილები გოგოებისათვის/ვაჟებისათვის და ადაპტირებული სველი წერტილი; მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, 12 საკლასო ოთახი,დირექტორისა და საქმისმწარმოებლის ოთახები, სველი წერტილები გოგონებისთვის,ვაჟებისთვის,პედაგოგებისთვის. მესამე სართული არის აუთვისებელი,სრულად სარეაბილიტაციო სივრცე,რომელიც დაკეტილია მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით. სპორტულ დარბაზს არ აქვს გასახდელები; არ არის სივრცე კლასგარეშე აქტივობებისათვის.

სკოლის ინვენტარის ნაწილი,მოსწავლის მერხები,არის დაზიანებული და არ აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე. სკოლის ეზოში არის განთავსებული ღია სპორტული მოედანი ,რომელიც საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია

სასკოლო საზოგადოებისათვის. ნათელი საკლასო ოთახების გარდა, სკოლაში არის სპორტული დარბაზი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სამასწავლებლო და სხვა. მიუხედავად სკოლის მცირე ფართისა, საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის შექმნილია ყველა ძირითადი პირობა, გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. ეტლით მოსარგებლე პირს შეუძლია სკოლის ერთ-ერთი შესასვლელით ისარგებლოს. პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურს ოთახი, არის ადაპტირებული საპირფარეშო (რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების -,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“-27-ე მუხლის მოთხოვნებს). პირველივე სართულზეა რესურსოთახი,ექიმის ოთახი,კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. შშშმ პირი ვერ შეძლებს ბიბლიოთეკით სარგებლობას,ვინაიდან ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე სართულზე.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. swavla swavlebis procesSi skola sagnobrivi kurikulumebis gansaxorcieleblad iyenebs rogorc sagnobriv saxelmZRvaneloebs, aseve damatebiT sxva saganmanaTleblo resursebs: kompiuterebi, proeqtorebi, sssm moswavlebis saWiroebidan gamomdinare resursebi da sxva. რომლებიც ადგილზე დათვალიერების დროსაც იქნა წარმოდგენილი. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია პროექტორი და ლეპტოპები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი და ლაბორატორია,სადაც განთავსებულია მრავალფეროვანი ინვენტარი. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია წიგნის მოვლის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის 1426 ერთეული მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის წიგნადი ფონდი დამუშავებულია და გატარებულია ჟურნალში წესების დაცვით. ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ოთახი არის მცირე ზომის,რის გამოც ბიბლიოთეკაში არ არსებობს სამკითხველო.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საჯარო რეესტრის ამონაწერი;
შენობა-ნაგებობის გეგმა;
ბიბლიოთეკის დებულება;
კომპიუტერული ლაბორატორიის განრიგი;
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ბიუროსთან გაგზავნილი წერილი შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესწავლის მოთხოვნასთან დაკავშირებით(31/07/2023)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო დროს. ასევე საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს საშუალება აქვთ შაბათ -კვირასაც ისარგებლონ მათთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცით, პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ. სკოლაში არის 14 მასწავლებლის ნოუთბუქი,14 ლეპტოპი, 18 პორტატული კომპიუტერი, 3 პროექტორი. მუშა მდგომარეობაშია: 14 მასწავლებლის ნოუთბუქი,14 ლეპტოპი და 3 პროექტორი. სკოლა სარგებლობს უსადენო ინტერნეტით WIFI-ით, რომელიც მუშაობს შეფერხებით. სკოლაში დამონტაჟებულია WIFI-ის ახალი როუტერები და განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით იგეგმება პრობლემის მოგვარება.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების კომპიუტერებითა და შესაბამისი მომსახურებით ხელმისაწვდომობას. სკოლაში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი და განრიგი. სკოლა სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის(Teams, Forms, OneDrive, Gmail, Messenger, Facebook) მეშვეობით, რაც დასტურდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმაციის გაგზავნის ფაქტებით. სკოლა ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ მასწავლებელსა და მოსწავლეს არ აქვს სახლში კომპიუტერული ტექნიკა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. skolaSi moqmedebs kanonmdeblobis Sesabamisi saqmiswarmoebis wesi. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ბრძანება საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ და საქმისწარმოების ინსტრუქცია. სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი, რომელიც უშრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებითგანსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას დადგენილი საქმისწარმოების ინსტრუქციის მიხედვით

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. .სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. კერძოდ, e-flow,Office365, eSchool. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში. სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე კი - ინფორმაციებისა და დოკუმენტის მიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, სკოლას სრულყოფილად ასახავს ინფორმაციებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (თანამშრომელთა მონაცემები, მასწავლებელთა სტატუსები, მოსწავლეთა მონაცემები და ა.შ).

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. .სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი საქმისწარმოების გამართულად მუშაობისათვის, რაც ხელს შეუწყობს საქმისმწარმოებელს უზრუნველყოს მარეგულირებელ უწყებებთან დროული კომუნიკაცია.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- სკოლის ელექტრონული ფოსტა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლას არაქვს ოფიციალური ვებ გვერდი. დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ facebook გვერდს, მესენჯერს , სატელეფონო ზარს, სატელეფონო შეტყობინებას, თმისის პლატფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. სკოლას დირექტორის N2-71 ბრძანებით(09.08.2023წ.) დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი.სკოლა გეგმავს ახალი სასწავლოწლიდან ვებ-გვერდის წარმოებას.

<u>**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.09.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას.**</u>

ინდიკატორი 3.6.3.1. მეტწილად შესაბამისია.

2. სკოლას არაქვს ვებ-გვერდი, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს facebook ჯგუფებს, თმისის პლატფორმას და ასევე საინფორმაციოდ ფეს, მშობლიურ კრებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ციფრული განვითარების გეგმა,რომლის მიხედვითაც სკოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად ვებ გვერდის ამოქმედება აქვს განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის facebook გვერდზე, თმისის პლატფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა გეგმავს ელექტრონული რეიტინგული გამოკითხვების, მოწონებების, გაზიარების ან სხვა აქტივობების სტატისტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვას.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას არაწარმოებს ვებ გვერდს. ციფრული განვითარების გეგმის მიხედვით 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად ვებ გვერდის ამოქმედება აქვს განსაზღვრული.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.09.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას.</u>

ინდიკატორი 3.6.3.4. მეტწილად შესაბამისია.

5. სკოლას არაქვს ვებ გვერდი. დირექტორის განცხადებით, იგეგმება ვებ გვერდის წარმოება, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ, მაგ.: სკოლის სტრუქტურა, მისია, სასკოლო პროექტი, ფინანსური ანგარიში, სასწავლო გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, შინაგანაწესი, გალერეა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, და ა.შ.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 01.09.2023-01.11.2023 პერიოდში სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის შექმნას, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია სკოლის შესახებ.</u>

ინდიკატორი 3.6.3.5. მეტწილად შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
facebook ჯგუფები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თიმსის ჯგუფები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის განმარტებით, სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად.
ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს როგორც სავარაუდო შემოსავლებს, ისე სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს. ბიუჯეტის შემუშავება ხდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. თითოეული სტრუქტურა, სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას დირექციას საჭირო შესასყიდის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა-წესი. ყოველი წლის ნოემბერში სტრუქტურული ერთეულები წერილობით წარმოადგენენ საჭირო რესურსების მოთხოვნას. სკოლის დირექცია და სტრუქტურული ერთეულები ბუღალტერთან ერთად აანალიზებენ ბიუჯეტს და მომზადებული ბიუჯეტის გეგმის პროექტს განსახილველად წარუდგენენ სამეურვეო საბჭოს წევრებს. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი
ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები თავისი მკაფიო, ნათელი ფორმულირებებით ითვალისწინებს ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, სკოლის მართვაში ჩართულობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ინფორმირებულობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გასაჩივრების უფლების გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებების, საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის რწმენის თავისუფლების უპირატესობას.
განსაზღვრავს მათი რეგულირების წესებსა და პირობებს, როგორც მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის წესებსა და პირობებს, ისე კონფლიქტის რეგულირების, მოსწავლის უკუკავშირისა და სხვა მიმდინარე პროცესების რეგულაციებს. შინაგანაწესი , მოსწავლეთა ქცევის კოდექსი და მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დოკუმენტი საშუალებაა უფლებების ცოდნისა და დაცვის. შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. დირექციის წარმომადგენლებთან ინტერვიუსას აღინიშნა ,რომ სკოლაში 2023-24 სასწავლო წლისთვის იგეგმება ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის'' მიხედვით გათვალისწინებული მოსწავლეთა უფლებების დაცვის პროცედურების მშობლების ,მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩართულობით შემუშავება და სკოლის შინაგანაწესში ასახვა.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მოსწავლისა და მშობლის მონაწილეობით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე, ღია კარის შეხვედრებზე სკოლა უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და მოვალეობების, შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და დისციპლინური დევნის რეგულაციების გაცნობას, საკლასო წესების შემუშავებას. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაშია მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. მოსწავლის უფლების დარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციისა და აღნიშნული სტრუქტურების მიერ ხდება მყისიერი რეაგირება. საჯაროდ განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია პირებისა და ორგანოების, რომლებიც უზრუნველყოფენ რეაგირებას უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს არ ყოფილა დისციპლინური წარმოების ან გასაჩივრების შემთხვევები. სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები უფრო ეფექტური გზებით (ბროშურების, ელფოსტის დახმარებით) გააზიაროს სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 4.1.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში და პირობებით ხდება მოსწავლეთა ჩარიცხვა. სკოლას მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ აქვს გაფორმებული ხელშკრულება.სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების შაბლონი,რომლის გაფორმებასაც გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, 15.09.2023-30.09.2023 პერიოდში სკოლამ უზრუნველყო მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი ხელშკრულების გაფორმება.</u>

ინდიკატორი 4.1.1.3. მეტწილადშესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დოკუმენტი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. კლასისა და საფეხურის დაძლევა განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი (სკოლის საქმისმწარმოებელი),რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა (პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა და ა.შ) სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge); კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის ვადები დაცულია. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, მათ შორის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ. სკოლაში არსებობს რამდენიმე უფასო კლუბი: სამოქალაქო განათლების, ეკოლოგიური, ნორჩმეწარმეთა, მოგზაურთა და მკითხველთა კლუბი. ასევე ჩამოყალიბებულია რაგბისტთა წრე. კლუბებს აქვს შემუშავებული წესდებებები, რომლებშიც გაწერილია კლუბის მუშაობის განრიგი და დრო, ასევე წევრების უფლება-მოვალეობები, შედეგები და ქცევები, კლუბის მუშაობის მეთოდოლოგია და პრაქტიკა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ფლობს მოსწავლე, მშობელი და ყველა დაინტერესებული პირი. ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმართველობა განცხადებები კეთდება კლასებში, თავსდება საინფორმაციო დაფაზე, სკოლის ფეისბუქგვერდზე და ვრცელდება სოციალური ქსელით.სკოლა 2023-2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს ფასიანი წრეების შემოღებას.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელს,teams-ის პლატფორმას.
დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სკოლის სერვისების შესახებ. ექსპერტების მიერ ნანახი ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე ,განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ახალი მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი,რომლის მიხედვითაც გათვლისწინებულია კონკრეტული მექანიზმები: მშობელთან კონსულტირება, მობილობით გადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრება, კლასში მოსწავლის წარდგენის რიტუალი. კლასის დამრიგებელი მიერ სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლისთვის სკოლის ინფრასტრუქტურის, სკოლის საზოგადოების, შინაგანაწესით განსაზღვრული წესების გაცნობა. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.

ინდიკატორი 4.2.1.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესის მიხედვით შემუშავებულ მექანიზმებს: დირექციის წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუს დროს აღინიშნა ,რომ სკოლა პირველკლასელთა ადაპტაციისათვის სკოლა მიმართავს მათთვის მიმზიდველი რესურსების მომზადებას; დამრიგებლები და მასწავლებლები ხელს უწყობენ შესაძლებლობების წარმოჩენას. ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან; აცნობენ შიდა რეგულაციებს, წესებს, არსებული რესურსებით სარგებლობის წესებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს.

ინდიკატორი 4.2.1.2.დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა აქტიურადაა ჩართული მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მოსწავლე მხარდაჭერას იღებს მასწავლებლისგან განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, რისთვისაც სკოლის რეგულაციებში განსაზღვრულია მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით). მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან შემოსული მომართვის შემთხვევაში გათვალისწინებულია დახმარების შემდეგი ფორმები: დამატებითი მეცადინეობა, კონსულტაციები (ვადებისა და ფორმის მითითებით) და სხვა. სკოლის დირექტორის განმარტებით,2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს რემედიაციის პროცესის გააქტიურებას. სარემედიაციო პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესის შემდეგ ჩაუტარდებათ დამატებითი მეცადინეობა კონკრეტულ საგანში. პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რემედიატორ მასწავლებელთან ერთად, ჩართული იქნება კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი და სკოლის ადმინისტრაცია.

ინდიკატორი 4.2.1.3.დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. დაწესებულების მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში. მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ერთ-ერთ გზად თვითმმართველობას იყენებენ. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.4.დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა აქტიურად მიმდინარეობს არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით შექმნილია კლუბები: ეკოლუბი ,,მწვანე თაობა“, სამოქალაქო განათლების კლუბი ,,თავისუფლება“, ინტელექტკლუბი ,,ფენიქსი''.საგნობრივი კათდრების ინიციატივით შექმნილი ,,მკითხველთა კლუბი“, ლიტერატურული კლუბი- ,,სცენა'', მოგზაურთა კლუბი მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებს. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა სასკოლო პროექტი " ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა“.სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა მიერ ინიცირებული სკოლის ეზოს კეთილმოწყობის აქციაც.აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 4.2.1.5.დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა გეგმავს კითხვარების საშუალებით მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან მიიღოს უკუკავშირი მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და შეაფასოს . კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე პროცესების გაუმჯობესების მიზნით მოახდინოს სათანადო რეაგირება.ამ მიზნით სკოლას შექმნილი ჰყავს სკოლის საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემსწავლელი ჯგუფი.სკოლაში ვიზიტისას სკოლის დირექტორმა წარმოადგინა მოსწავლეების.მშობლებისა და მასწავლებლებისათვის მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი კითხვარები.

ინდიკატორი 4.2.1.6.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით(N2-72,09.08.2023წ.) დამტკიცებული მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
კლუბის წესდება;
პროექტის გეგმა ,,ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა".

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის ბრძანებით N2-65(09.08.2023წ.)პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი,რომლის მიხედვითაც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამები,დაგეგმილი და განხორციელებულია სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ატივობა:სკოლის მხარდაჭრით გურიის აგრობიზნეცენტრის მიერ სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,ახალგაზრდების მომზადება უკეთესი მომავლისათვის“,ჩამოყალიბდა კლუბი; სამუშაო შეხვედრაზე კლუბის წევრების მიერ პროფესიულ-სასწავლო პროგრამად შეირჩა სამკერვალო საქმიანობა. პროექტის ფარგლებში კლუბი აღიჭურვა სამკერვალო ინვენტარითა და მასალებით, კლუბის წევრი მოსწავლეების მიერ შეიქმნა სამკერვალო ნაწარმი.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. დირექტორის განმარტებით, სკოლის პოლიტიკაა შესაბამისი საფეხურის დასრულებამდე ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები და მშობლები კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. განხორციელდა ვიზიტი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ინოვაციების ინსტიტუტის“ მხარდაჭერით, ინსტიტუტის ოფისსა და ტელევიზიაში.სკოლა 2023-2024 სასწავლო მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებისთვის გეგმავს უფრო ეფექტური საშუალებების გამოყენებას,როგორებიცაა: ბროშურები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექციასთან ინტერვიუსას აღინიშნა,რომ სკოლა ხელს უწყობს შეხვედრების ორგანიზებას კურსდამთავრებულებთან, რომლებიც საკუთარ პრაქტიკასა და გამოცდილებას თავად უზიარებენ თანატოლებს და მათ მშობლებს. მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა; სკოლა კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გეგმავს გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები: საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრირებაში, პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებთან მემორანდუმების გაფორმებით თანამშრომლობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული N2-65(09.08.2023წ.)პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი;
სადამრიგებლო პროგრამები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურებას; შემუშავებული და გაწერილია შესაბამის მოსწავლეთა ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების მექანიზმი.სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განსაზღვრულია ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები.სკოლაში სწავლობს 18 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე . სკოლაში დასაქმებულია 3 სპეცმასწავლებელი, ასისტენტი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დამხმარე სპეციალისტი-ფსიქოლოგი. სკოლას აქვს რესურს ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები. მოსწავლეებს აქვთ ინდივიდუალური გეგმები და პორტფოლიოები.

ინდიკატორი 4.2.3.1დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. ფსიქოლოგისა ,სპეც მასწავლებლებისა და ასისტენტის ჩართულობა დგინდება მათი სამოქმედო გეგმებითა და შრომითი ხელშეკრულებებით. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფის მონიტორინგის ჯგუფი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება
ისგ ჯგუფის ოქმები;
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი
დირექტორის ბრძანებით(N2-67,09.08.2023წ.) დამტკიცებული სსსმ მოსწავლის ზოგადი განათლების უზრუნველყოფის დებულება;

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით ემსახურება ტრანსპორტი, რაც ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან უფლების მიღების საფუძველზე. სკოლაში საქართველოს რაგბის კავშირისა და რაგბის ასოციაციის ინიციირებით ხორციელდება სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამა ,,ჩაერთე რაგბიში“. 2023-2024 წლისთვის იგეგმება ცეკვისა და რაგბის ფასიანი წრეების შექმნა; სკოლის მესამე სართულზე არსებული ფართის რეაბილიტაციის შემთხვევაში იგეგმება კვების ობიექტის გახსნა.

ინდიკატორი 4.2.4.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მოსწავლეებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით ემსახურება ტრანსპორტი. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება მძღოლების დროული გამოცხადება, მოსწავლეების უსაფრთხო გადაყვანა(რამდენი მოსწავლე უნდა გადაიყვანონ ერთ რეისზე, რათა არ მოხდეს გადატვირთვა), ტექნიკის გამართულობა, ტრანსპორტში ჰიგიენის წესების დაცულობა და მძღოლის შესაბამისი კვალიფიკაცია.2023-2024 წლისთვის იგეგმება ცეკვისა და რაგბის ფასიანი წრეების შექმნა მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესისა და პირობების დაცვით; ასევე სკოლის მესამე სართულზე არსებული ფართის რეაბილიტაციის შემთხვევაში იგეგმება კვების ობიექტის გახსნა.

ინდიკატორი 4.2.4.2.დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. 2023-2024 სასწავლო წლისთვის დამატებითი მომსახურების წრეების ფუნქციონირება იგეგმება განრიგის შესაბამისად. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა დასწრების კონტროლს. განსაზღვრულია წრეების ხელმძღვანელთა ვინაობა, წრის მიზნები, კვირეული დატვირთვა და სხვა.

ინდიკატორი 4.2.4.3.დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა ტრანსპორტირების ცხრილი;

წერილი ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლაში საქართველოს რაგბის კავშირისა და რაგბის ასოციაციის მიერ ინიცირებული პროგრამის ,,ჩაერთე რაგბიში“შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწყებითი საფეხური:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) **დაწყებითი საფეხური**	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაჩვენებია, როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.

მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა ცალკეული დოკუმენტები, ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სახელმწიფო ენის კათედრის ანგარიშები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გაიდლაინები პედაგოგებისთვის, გაიდლაინი მოსწავლეებისთვის, გაიდლაინი მშობლებისთვის, კითხვარები მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, კითხვარები მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მასწავლებელთა, მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და მათი გათვალისწინების ფაქტზე.

მათემატიკის მიმართულებით, ასევე, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავალებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან: მშობლებთან და მოსწავლეებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. იმავეს თქმა შეიძლება სხვა საგნებთან დაკავშირებითაც .

დაწყებითი კლასების პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, სასწავლო წლის დასაწყისში იკრიბებიან კათედრის წევრები, რომლებიც აჯამებენ წინა წლის შედეგებს და გამოვლენილი ხარვეზებისა თუ წარმატებების გათვალისწინებით გეგმავენ მოდევნო სასწავლო წელს. ამ პროცესში ჩართული არიან მშობლებიც და მოსწავლეებიც. ისინი კლასის ხელმძღვანელებისაგან იღებენ საჭირო ინფორმაციას მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში არსებულ დახურულ ჯგუფებში, ასევე პირისპირ ზეპირი კომუნიკაციით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია. საგნის მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშები, მიგნებები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი, არაფორმალური განათლების პრევენციული ხედვა და სასწავლო პროცესის ანალიზი სკოლისთვის სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) შემუშავების საშუალებაა.სასწავლო გეგმაში გაწერილია სწავლა-სწავლების დაწყებითი საფეხურის ამოცანები.საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და კათედრის წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლი, შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობა და როლი. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის შემუშავება და დახვეწა. მომავალში სკოლა გეგმავს გააქტიუროს სასკოლო საზოგადოება ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათთან უკუკავშირის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს შეუწყობს სრულად გამოვლინდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში არსებული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ამ მიზნით სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებელი მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობს საინფორმაციო შეხვედრას. პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმის პირველადი ვერსია გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს- კათედრაზე და მშობლებს - მშობელთა კრებაზე, მიღებული უკუკავშირი და მათი შეხედულებები გაითვალისწინონ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე.მაგალითად, ფიზიკური აღზრდის მიმართულებით, სტატუსის მაძიებლის ფორმიდან და პედაგოგებთან შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინფორმაცია. სხვადასხვა არხის საშუალებით ხდება მშობლებისთვის კომპლექსური დავალების ბარათების გაზიარება. ასევე, დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმები გაზიარებულია დაწყებითების კათედრაზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. მშობლებისთვის ამზადებენ მშობლის ბარათებს, ასევე აქტიურად აწვდიან სოციალური ქსელის დახმარებით დახურულ ჯგუფებში. მოსწავლეები ეცნობიან გაკვეთილებზე და კომპლექსური დავალების დაწყების წინ, მოსწავლეები გამოთქვავენ თავიანთ მოსაზრებებს. იგივე მდგომარეობაა სხვა საგნებშიც.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- გაიდლაინი პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის.
- მოსწავლის, მასწავლებელთა, მშობელთა კითხვარი.
- საგნობრივი კათედრის შეხვედრის ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
- ისგ-ს მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებითი საფეხურისათვის;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- კვლევა სკოლის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული გეგმის გადახედვაზე.
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდეგენილია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის- სამიზნე ცნების დამუშავებას შესაბამისი კომპლექსური დავალებების მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლოებებსა და მზაობას, რაც გამოიხატება კომპლექსური დავალებების შერჩევა/შექმნის მიხედვით. აღნიშნული კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული პრინციპების მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას.
სკოლის მათემატიკის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება მათემატიკაში. დაწყებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფეხურის V-VI კლასის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა.V-VI კლასის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით: გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში, რომლებიც ჩაშენებულია წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში.
ფიზიკურ აღზრდაში გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე.
მთლიანობაში , ყველა საგანში კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის, წარმართვის გზას წარმოადგენს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლისთვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებაზე (მაგ: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ.), რასაც უზურუნველყოფს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები. სხვ.), აღნიშნული ასევე ჩანს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში.
დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას წარმოდგენილი აქვს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმების ჩარჩოები (ჩვენი საქართველო, მე და საზოგადოება), რომლებშიც ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისა საშუალებას იძლევა. უცხოურ ენებში, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას.დაწყებითი საფეხურის მათემატიკაში პედაგოგთა მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით, სადაც გაწერილია მკვიდრი წარმოდგენებიც. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით.

დაწყებითი კლასების პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რათა თავიანთი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, (მაგ: ,,ჩრდილების თეატრი", ,,ვკითხულობთ, ვაზროვნებთ, ვწერთ", რომლებიც ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომების გამოცდილება. სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. აღნიშნული გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდ.გეგმის შედგენის შესახებ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ სასწავლო პროცესში გეგმავენ ისეთ აქტივობებს,რომლებიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას, სწავლის სტილსა და ინტერესებს.

დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში გაწერილ კომპლექსურ დავალებებში არის არჩევანის საშუალება. მაგ: მოსწავლეს შეძლია შეარჩიოს შესასრულებელი დავალების ისეთი ფორმა, რომელშიც უკეთ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობას, აზრს, ცოდნას და დამოკიდებულებებს. ვინაიდან კურიკულუმში მეტწილად მოცემულია კომპლექსური დავალებები, ეს ფაქტი თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება,რომ ხორციელდება ისგ-ს მიხედვით კომპლექსური დავალებების ადაპტირება სსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით,

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი რუბრიკების საფუძველზე შესაძლებელია დავსკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ როგორც ზოგადი შეფასების სქემებს, ასევე კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაუმჯობესებას და სწავლა სწავლების გრძელვადიან მიზნებს. მაგ.,ტექნოლოგიების მიმართულებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანია, მასში ჩაშენებულია მულტიმოდალური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულობას, შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. ამავე დროს, შეფასების ორივე ტიპი მორგებულია თემატური ერთეულების მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და სწავლის სტილს. მათემატიკის კათედრამ წარმოადგენია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საბაზო საფეხურის.მასწავლებლებს აქვთ მზაობა, შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაწყებით საფეხურზეც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, წარმოადგინეს თითო ნიმუში, ასევე ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათში - "მოსწავლეს შეუძლია".

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5.საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუსას აღინიშნა,რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლაში მიღებულია გასული წლის კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
- განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
- ინსტრუმენტი მოსწავლის მიმდინარე მიღწევების შესაფასებლად.
- სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგები ;
- დაწყებით საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი სკოლაში წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში; პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სკოლაში დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, ასევე სკოლაში შექმნილი დადებითი გარემო განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას შემოქმედებით პროცესებში.

სპორტის მიმართულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე, თეორიული შინაარსის თემები, სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, ფესტივალები, რომლებიც მშობლების ჩართულობასაც ითვალისწინებს. ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის სასწავლო კურიკულუმებზე დაყრდნობით, დაგეგმილ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის შემოქმედებითი უნარები, რასაც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების პირობები. მასწავლებლების თქმით,მოსწავლეები ამზადებენ დიორამებს, შექმნეს პლანეტების მოდელი, განახორციელეს პროექტი „მე და ჩრდილი“, რომელიც წარმოადგინეს ჩრდილების თეატრის სახით, აკეთებენ ბუნებასთან დაკავშირებულ მაკეტებს.მათემატიკის მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა და გააზრებაში. კურიკულუმში წარმოდგენლი თემები, საკითხები, კონტექსტმაგალითები ლოგიკურ ურთიერთმიმართებაშია და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ.

სახელმწიფო ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემატური ბლოკების , დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით.

დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლებთა გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მიმართავენ გონებრივ იერიშის მეთოდს, ახალი თემის ახსნის დროს ააქტიურებენ წინარე ცოდნას. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად ხშირად იყენებენ ცნების რუკებს, ურთიერთშეკითხვებს, თამაშით სწავლების სტრატეგიებს და სხვა. მასწავლებლის მიერ გამოყენებული „თამაში ბინგო“ ააქტიურებს წინარე ცოდნას, ეხმარება მოსწავლეს მიღწევების ანალიზში. ყველა საგანთან მიმართებაში, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელი ფაქტორია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. ისინი ცდილობენ სისტემატურად იმუშაონ იმაზე, რომ მოსწავლემ იაზროვნოს კრიტიკულად შეძლოს უკუკავშირი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა დაეხმარა ნამუშევრის შექმნაში, რას შეცვლიდა ხელახლა რომ ასრულებდეს დავალებას და ა. შ. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები, ახდენს რეფლექსიას.

უცხოურ ენებში, დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც.

ესთეტიკის მიმართულებით, წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაციიდან ნაკლებად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცა ინტერვიუს დროს აქცენტი გაკეთდა ისეთი აქტივოვების გამოყენებაზე, რომლის მიზანი იქნება მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, მეტაკოგნიტური უნარები.

ყველა საგანთან მიმართებაში, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

მათემატიკის კათედრის მიერ არჩეული კომპლექსური დავალებების პირობები, მაგ: მე-5 კლასში "მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი 10 ქვეყანა და ინტერნეტიზაცია" მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტილებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ყველა საგანთან მიმართებაში,

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება თემათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ამ მიზანს ემსახურება კომპლექსური დავალებები, რომლებშიც ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა თემატურ კონტექსტში.

ესთეტიკის მიმართულებით ინტერვიუდან და თვითშეფასების დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება; კომპლექსური დავალებები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. სამომავლო ხედვა ითვალისწინებს იმ უნარების განვითარება, რომლებიც საჭიროა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნისას.

სახელმწიფო ენაში წარმოდგენილია დაწყებითის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ყველა საგანთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- მატრიცები დანართის სახით:
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებითი საფეხურისათვის;
- მასწავლებელთან ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჩანს, რომ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი შესასწავლი საკითხების, სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გააზრებას სხვადასხვა კონტექსტში.
მათემატიკაში , დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. V-VI კლასებში. წარმოდგენილი კურიკულუმის ნიმუშებში V-VI კლასებში არის გამოკვეთილი სამიზნე ცნება და მასზე დაყრდნობით ქვეცნებათა იერარქია, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ თემის ფარგლებში მოახდინოს მოსწავლემ ცოდნის განზოგადება და მისი მკვიდრ წარმოდგენებში ასახვა. ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შერულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც პრეზენტაციის დროს აღწერეს.
წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაც. ამ მიზნით შერჩეული საგნობრივი კონტექსტები და რესურსები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი,რომ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. როგორც გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავენ, მოსწავლეებს ხშირად ეძლევათ არჩევითი დავლებები, რაც საშუალებას აძლევს მათ, ყველა იყოს ჩართული პროცესში თავისი შესაძლებლობებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე გაერთიანებულ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას ,გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ვალდებულებას).

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების მექანიზმი, რაც ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევებისა და შედეგების წარმოჩენაზე. საგნობრივ კათედრებს გააზრებული აქვს, რომ მოსწავლის შეფასება, გარდა აკადემიური მოსწრებისა, მის განვითარებას უწყობს ხელს, რისთვისაც კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლის წინსვლასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

პედაგოგების მიერ სახელმწიფო ენაში წარმოდგენილ იქნა კომპლექსური დავალების შეფასების სქემა, წერითი შემაჯამებელი დავალების რუბრიკა, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა, შეფასების რუბრიკა მიმდინარე მიღწევებისთვის. წარმოდგენილი ინსტრუმენტები ითვალისწინებს არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ გარემოებას, ფოკუსჯგუფთან მუშაობის პროცესში აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავების ეტაპზეცაა და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში, დეტალურად აღიწერება რამდენად და როგორ უწყობს ხელს ისინი მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

მათემატიკის მიმართულებით დაწყებითი საფეხურის დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევათ შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ, რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში. აქედან გამომდენარე, მასწავლებლები კარგად იცნობენ და პრაქტიკაში ნერგავენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.როგორც დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, მასწავლებლები შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით ირჩევენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მაგ: მოსწავლეთა პრეზენტაციებს, ნამუშევრების გამოფენას, დამოუკიდებელ თუ ჯგუფურ სამუშაოს და სხვა. ეს განპირობებულია იმით, თუ რა უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული მასწავლებელი, რა კონკრეტული სასწავლო მიზნებია დასახული მოცემულ მომენტში. ასევე მოსწავლეებთან ერთად ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობას, გამჭვირვალობას, ვალიდურობასა და სანდოობას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, რუბრიკების დახმარებით თავად დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროგრესს და მათზე დაყრდნობით განახორციელონ თვითშეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მიხედვით. განმავითარებელ შეფასებას ზეპირი კომენტარის ფორმა აქვს, ხოლო განმსაზღვრელი რუბრიკები აქცენეტებს აკეთებს სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე, რაც დასახვეწია.

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ყველა საგანთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.დაწყებით საფეხურზე კათედრები არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს; შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ორჯერ ჩატარდება დიაგნოსტიკური შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია,რომლის მიხედვითაც სკოლა ვერიფიკაციის განხორციელებას გეგმავს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი(რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;ვერიფიკაციის პროცედურა.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. რეგულაციების შესაბამისად ხორციელდება მოსწავლის ნამუშევრების შენახვა.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- მოსწავლეთა პორტფოლიოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია ;
- დირექტორის ბრძანება შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ(ბრძანება N2-77,10.08.2023წ.)

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. დაწყებითის კათედრა ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რაც ეხმარება კოლეგებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში. მოსწავლეთა მხარდაჭერას ემსახურება პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში. თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე, რაც გამოიხატება სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობით, როგორებიცაა საგნობრივი ვიქტორინები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშები, რომლებიც სკოლაში არსებული ინტელექტუალური კლუბის ბაზაზე ხორციელდება. ასევე საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და აქციები, რომელთა დაგეგმვა და განხორციელება მოსწავლეთა უშუალო ჩართულობით ხორციელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასალები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მოსწავლის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას. კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებული მიდგომები, არჩევითი დავალებებისადა სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.

უცხოური ენების პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვის საშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. ასევე გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მათთვის მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმების ანალიზით და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ შექმნილია მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემო, რომელიც ხელი უწყობს მათ აკადემიურ წინსვლას; სასწავლო პროგრამები და გეგმები მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღება ხდება მოსწავლეთა ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით, ისინი ირჩევენ წრეებს, კლუბებს, მათი ინტერესებისა და შეხედულებების მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს მასწავლებლების ურთიერთანამშრომლობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა. მასწავლებლები ინტერვიუსას აღნიშნავენ, რომ კოორდინირებული მუშაობა აქვთ სხვა კათედრის წევრებთანაც. მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და პროცესების შეფასება, განსხვავებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათი გადაჭრის გზებიც, რაც ეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო. სკოლა იყენებს მშობლებთნ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმსის პლატფორმა, სოციალური ქსელი, ელ. ჟურნალი, ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი,რაც უზრუნველყოფს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში.

მაგალითად, ბუნებისმეტყველების მიმართულებით, კათედრებს შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს, კომუნიკაციის, გუნდურობის და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის განვითარებას, რომელიც გამოიხატება კათედრებისა და კლუბების გაერთიანებით დაგეგმილი ღონიძიებებისა და აქტივობების განხორციელებით. ბუნების სასწავლო კურუკულუმისა და ეკოკლუბის განხორციელებული აქტივობების ფარგლებში განხორციელდა სკოლის ეზოს გალამაზება.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.

4.პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რ ო მ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, თანამშრომლობის აუცილებლობა, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

საზოგადებრივ მეცნიერებათა კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, რომ სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად ერთმანეთთან თანამშრომლობენ კრიკულუმის შექმნისა და განვითარების, შეფასების რუბრიკების შექმნაში, ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებიდან მიღებულ ინფორმაციას და სხვ. ხოლო საკლასო დონეზე პოზიტიური გარემოს შექმნას, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, ხელს უწყობს კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი, სადაც მოსწავლეთა ჩათულობა და თანამშრომლობა მაღალია.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მეთოდოლოგიური დანართი.
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- კათედრის ანგარიშის ფორმები და შეხვედრის ოქმები.
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმასაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია" გათვალისწინებულია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი. ასევე, გასაუბრებისას დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია საფეხურის ყველა პედაგოგი. განხორციელების პროცესს აკვირდებიან კათედრების წევრები : როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დაძლევა, რა პრობლემები გამოიკვეთება. ანალიზისა და შეფასების შედეგად მოხდება კურიკულუმის განახლება.

სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, ასევე სკოლის ბანკის შექმნას, რომელშიც განთავსდება მონიტორინგისა და შეფასების მასალები შერჩეული პასუხისმგებელი პირის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.მასწავლებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, ჩანს, რომ ისინი ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან კურიკულუმის მონიტორინგი აღქმულია არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად. მასწავლებლები იცნობენ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს და ხდება მათ გამოყენება კურუკულუმის განხორციელების პროცესში აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამისთვის იყენებენ ე.წ კრიტიკული მეგობრის, კითხვარებს (მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლის ბაზაზე შექმნილი ხარისხის ჯგუფის მხარდაჭერას, რომელთა რეფლექსიის საფუძველზე ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება და პოზიტიური უკუკავშირის შედეგად მათ განვითარებაზე ზრუნვა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ სამომავლოდ მოხდება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. მოხდება უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა , რომ დაწყებითის პედაგოგები წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე აანალიზებენ რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ.

უცხოური ენის კათედრის მაგალითზე ჩანს, რომ იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების განხორციელება. შერჩეული ინსტრუმენტი შესაძლებლობას მისცემს მასწავლებლებს გამოკვეთონ პრობლემა, ამ პრობლემაზე დააფიქრონ მოსწავლეები და მათთან ერთად დაგეგმონ გამოსავალი. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერჩეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები.
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შეფასების რუბრიკები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია შეფასების პრინციპები. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს მოსწავლისა და სასწავლო პროცესების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. ამისთვის გამოიყენებენ როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე დოკუმენტური თუ სტატისტიკური ტიპის რესურსს.
მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მოსწავლის ემოციური, სოციალური და კოგნიტური განვითარების პროცესზე ფოკუსირების საშუალებას აძლევთ განმავითარებელი შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მონაცემები. ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ განხორციელებეული აქტივობებისა და შესრულებული სამუშაოების რეფლექსიები, რის საშუალებითაც ადგენენ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას, სად იმყოფება იგი; რომელია მისი ძლიერი და სუსტი მხარე. ამის შემდეგ ითვალისწინებენ სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და მასზე დაფუძნებით აძლევენ უკუკავშირს მოსწავლეებს.
ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. ამ მიზნით კათედრებზე იგეგმება სადაიგნოსტიკო შეფასებების ჩატარება, უფრო ფართოდ მოხდება კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულ შედეგებს; ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურ მდგომარეობას, რელიგიას და სხვა. სასურველია, სკოლამ სამომავლოდ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.

მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგანმანათლებლო პროექტები;
- ზეპირი ინტერვიუ;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია გადასინჯვისა და რევიზიის საკითხი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან და გასაუბრებებიდან ირკვევა , დაწყებითის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კათედრები გეგმავენ შეაჯამონ ურთიერთდასწრების ანალიზები და მოსწავლეთა პორტფოლიოები, ანალიზის შედეგად გამოიტანონ დასკვნები და სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი შექმნან.

კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები, როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძლზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლისა და მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგაოდებაში და ა.შ. აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, იგეგმება ამ მიმართულებით კონკრეტული ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მექანიზმის შემუშავება, რომელიც აისახება მეთოდოლოგიურ დანართში.2023-24 სასწავლო წლისთვის კურიკულუმში ასახული იქნება წინა წლის ძლიერი მხარეები, ხოლო სუსტი მხარის გაუმჯობესებისთვის დაიგეგმება შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტშია აღნიშნული, კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებელთა ინტერვიუ.
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

საგაზოსაფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზისო ფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაჩვენებია, როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. სკოლაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. კათედრებს შორის, სამუშაო შეხვედრებზე, მიმდინარეობს მსჯელობა შეფასების კრიტერიუმებზე, სასწავლო მეთოდებსა თუ აქტივობებზე, მოსწავლეების სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მუშაობის პროცესში შეავსეს კონცეპტუალური ჩარჩოები და შეიქმნა კურიკულუმი, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე .
მაგალითად , სახელმწიფო ენის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა ცალკეული დოკუმენტები, ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ანგარიშები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გაიდლაინები პედაგოგებისთვის, გაიდლაინი მოსწავლეებისთვის, გაიდლაინი მშობლებისთვის, კითხვარები მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებისთვის, მასწავლებელთა, მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და მათი გათვალისწინების ფაქტზე.

ასევე, მათემატიკის მიმართულებით, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავალებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან: მშობლებთან და მოსწავლეებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლაში საბაზო საფეხურის ყველა საგანში შემუშავებულია მესამე თაობის სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კურუკულუმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, კათედრის ფუნქციები, დამრიგებელთა მუშაობის პრინციპები, კათედრის ანგარიშებში ასახული აქტივობების ანალიზი ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობით არის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილი, კურიკულუმების შინაარსობრივი ნაწილი წინა სასწავლო წლის ფარგლებში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერსებისა და სურვილების გათვალისწინებითაა შექმნილი.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით შექმნილია საბაზო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები. კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის აქტივობებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, კვლევის შედეგები, მოსწავლეთა, მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფებში ჩატარებული გასაუბრების შედეგები, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა კითხვარში გამოკვეთილი დასკვნები, შეხედულებები მათ ინტერესებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივ მეცნიერებების წარმომადგენლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნაწილი უკვე განხორციელებული აქვთ წინა წელს და გარკვეული შედეგები მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით გაანალიზეს, რის მიხედვით მოახდინეს გარკვეული მოდიფიცირება. აღნიშნული კათედრა და სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებაზე, რაც ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებებით, (მაგ.,გეოგრაფიის მე-9 კლასში განხორციელებული ადაპტირებული კომპლექსური დავალება მთის მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით) .სასკოლო საზოგადოების ინტერესები ასახულია სხვა საგნობრივ კურიკულუმებში. *ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და კათედრის წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლი, შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობა და როლი. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის შემუშავება და დახვეწა,

მაგალითად, მათემატიკის საგნობრივ მიმართულებაში, დოკუმენტაციის გაცნობით და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის არსებული ვერსია, რომელიც ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინეს, გასაუბრებით დადასტურდა, რომ იყო გაზიარებული და შეთანხმებული. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში ჩანს სხვა საგნების მაგალითზეც.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში არსებული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ამ მიზნით, სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებელი მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობს საინფორმაციო შეხვედრას. პედაგოგებმა აღნიშნეს ,რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმის პირველადი ვერსია გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს- კათედრაზე და მშობლებს - მშობელთა კრებაზე, მიღებული უკუკავშირი და მათი შეხედულებები გაითვალისწინონ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დამტკიცებამდე.მაგალითად, საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმები გაზიარებულია საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ სასკოლო საზოგადოებისთვის სხვადასხვა საშუალებებით, როგორებიცაა: ბარათები, სოციალური დახურულ ჯგუფებში გავრცელება. მასწავლებლები გამოთვავენ მზაობას, მომავალში მოსწავლეები უფრო მეტად ჩართონ კურიკულუმის შემუშავებისა და გაზიარების პროცესში.ასევეა ესტეთიკის მიმართულებით: სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს ინტერვიუსას,რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა სურვილებსა და ინტერესებს, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს წვდომა კურიკულუმებზე როგორც ციფრულად, ასევე უშუალოდ სკოლაში ვიზიტისას.
კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან სხვა საგნებშიც.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- გაიდლაინი პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის.
- მოსწავლის, მასწავლებელთა, მშობელთა კითხვარი.
- საგნობრივი კათედრის შეხვედრის ოქმები.
- კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
- ისგ-ს მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურისათვის;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- კვლევა სკოლის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული გეგმის გადახედვაზე.
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება.
ინტერვიუდან და წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ მათემატიკის კათედრის წევრებს კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიები: მატრიცებს, რომლებსაც ისინი სანიმუშოდ იყენებენ (math.ge-დან), ბოლოში ინტეგრირებული აქვთ ე.წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს, რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყო ის ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ.
ე.ს.გ გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმები საჭიროებს ნაწილობრივ გადამუშავებას, კერძოდ, განსხვავებული თეორიული თემების შეტანას თითოეულ კლასში. რის მზაობასაც გამოხატავენ ფიზიკური აღზრდის პედაგოგები კათედრასთან ერთად, მთლიანობაში მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას.კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე.

ინდიკატორი 2.1.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე არის ორიენტირებული. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლისთვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებაზე (მაგ: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ.), რასაც უზურუნველყოფს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები. სხვ., აღნიშნული ასევე ჩანს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდეგენილია ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების ჩარჩოები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა), რომელთა შინაარსობრივი ნაწილი ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას, რადგან ასახულია კომპლექსური დავალებების პირობები შესაბამისი კონტექსტებით, რაც ხელს შეუწყობს სტანდარტის საფეხურის შედეგების დამუშავებას. კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლისთვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებაზე. უცხოურ ენებში, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმები საჭიროებს ნაწილობრივ გადამუშავებას, კერძოდ, განსხვავებული თეორიული თემების შეტანას თითოეულ კლასში. რის მზაობასაც გამოხატავენ ფიზიკური აღზრდის პედაგოგები კათედრასთან ერთად. მთლიანობაში მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე, შემუშავებული საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე.
მათემატიკაში წარმოდგენილი საბაზო საფეხურის წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.
ინდიკატორი 2.1.3.2 დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებსა და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. მაგალითად, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით , კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მუსიკასა და ხელოვნებაში. კურიკულუმში გაწერილ კომპლექსურ დავალებებში არის არჩევანის საშუალება.მაგ: საბაზო საფეხურზე მოსწავლეს შეუძლია შეარჩიოს მისთვის სასურველი დავალების ტიპი, რომელიც მისცემს მოსწავლეს შესძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით.

საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ცალკეული მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს მზაობა ამ დავალების ადაპტირებული ვერსიები მოამზადოს, ეს მზაობა გამოჩნდა ინტერვიუს პროცესშიც.
კომპიუტერული ტექნოლოგიების კულიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მასწავლებელი მიმართავს დიფერენცირებული მიდგომებს და ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, მიღწევის დონეს, ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასევე შემუშავებული კომპლექსური დავალებები აგებულია დიფერენცირების პრინციპით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა სასწავლო უნარები, სწავლის სტილი და ინტერესები,
ყველა საგანთან მიმართებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
ინდიკატორი 2.1.3.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

4.წარმოდგენილი საბაზო საფეხურის რუბრიკების საფუძველზე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ როგორც ზოგადი შეფასების სქემებს, ასევე კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებას და სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებს.

ტექნილოგიების მიმართულებით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მრავალფეროვანია, მასში ჩაშენებულია მულტიმოდალური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულობას, შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. ამავე დროს, შეფასების ორივე ტიპი მორგებულია თემატური ერთეულების მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს და სწავლის სტილს. ინტერვიუდან დაზუსტებელია, რომ მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ ზეპირ სიტყვიერ კომენტარს, კომპლექსური დავალებები ფასდება სოლო ტაქსონომიით.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები სამოქალაქო განათლების მიხედვით, რაც მკაფიოდაა დაკავშირებული სტანდარტის ინდიკატრებთან და საშუალებას იძლევა მოსწავლე შეფასედეს გრძლევადიანი მიზნის ფარგლებში საფეხურის შედეგების მიხედვით. კათედრას აქვს ხედვა, რომ ახალი სასწავლო წლიდან მთლიანად აღნიშნული შეფასების მეთოდური ორიენტირებით იხელმძღვანელებენ.

ინდიკატორი 2.1.3.4 დაკმაყოფილებულია.

5.კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში.. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლაში მიღებულია გასული წლის კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ, საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
- განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
- ინსტრუმენტი მოსწავლის მიმდინარე მიღწევების შესაფასებლად.
- სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგები ;
- საბაზო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სასწავლო პროცესი სკოლაში წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში; პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სკოლაში დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს;
მათემატიკის მიმართულებით , შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის დასტურად კათედრამ, გარდა კურიკულუმისა და კომპლექსური დავალების ბარათებისა, წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებიც. მათემატიკის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.
ინტერვიუსა და დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მაგ.,მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში ახორციელებენ სასკოლო ღონისძიებებს, რომლებიც მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას უწყობს ხელს და უყალიბდებათ შემოქმედებითი უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი აგებულია კონსტრუქტივისტულ სასწავლო პრინციპებზე. კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა და გააზრებაში. კურიკულუმში წარმოდგენლი თემები, საკითხები, კონტექსტმაგალითები ლოგიკურ ურთიერთმიმართებაშია და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ.
ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელების პროცესი ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრურებას წინაზე დაფუძნებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელებას წარმართავენ ეტაპებისა და ნაბიჯების მიხედვით, რა დროსაც მოსწავლე ახდენს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტუირებას,
სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების განხორცილებული კომპლექსური ტიპის დავალებების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თემები,მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელი ფაქტორია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. პედაგოგები ცდილობენ სისტემატურად იმუშაონ იმაზე, რომ მოსწავლემ იაზროვნოს კრიტიკულად, შეძლოს უკუკავშირი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა დაეხმარა ნამუშევრის შექმნაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რას შეცვლიდა, ხელახლა რომ ასრულებდეს დავალებას და ა. შ. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები, ახდენს რეფლექსიას.

უცხოურ ენების საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებზე მუშაობაც.

მათემატიკის მიმართულებით საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიები, კერძოდ, საკვანძო შეკითხვები, როგორც საფეხურის, ასვე თემის. ასეთი საკვანძო შეკითხვები ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების სანიმუშო ბარათში. ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

სახელმწიფო ენაში, საბაზო საფეხურზე მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანებს , რომელთა გადაწყვეტისას პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უხდება, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

საბაზო საფეხურზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელთა ნაწილი კათედრის მიერ უკვე განხორციელდა თემატურ მატრიცაში გაწერილი ნაბიჯებისა და ეტაპების მიხედვით რაც ცოდნის სამი პირობის მიხედვით კონსტრუირებას უწყობს ხელს. შესაბამისად, კათედრას აქვს ხედვა გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება თემათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ამ მიზანს ემსახურება კომპლექსური დავალებები, რომლებშიც ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა თემატურ კონტექსტში.
ტექნოლოგიების მიმართულებით კომპლექსურ დავალებებში გათვალისწნებულია საგანთა ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი. მასწავლებელს აქვს გამოცდილება პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების: განხორციელებულია ინტეგრირებული გაკვეთილი სამოქალაქო განათლება, ინგლისური ენა, კომპიუტერული ტექნოლოგიები - თემა - მოხალისეობა, სადაც მოსწავლეებმა შექმნეს Publisher -ის შაბლონის გამოყენებით ფლაიერები .

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- მატრიცები დანართის სახით:
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურისათვის;
- მასწავლებელთან ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.წარმოდგენილია საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც კონკრეტული საკითხის მიხედვით შექმნილია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც დაკავშირებულია საამიზნე ცნებასთან. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფლობაზე, რის მიხედვითაც კომპლექსური დავალების კრიტერიუმები შემუშავებულია და ეტაპობრივად ხდება მისი განხორციელება;საბაზო საფეხურის მათემატიკის კურკულუმში ყველაგან აქვთ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, აქვთ ჩაშლილი ქვეცნებები, ასევე ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული კავშირები სამიზნე ცნებებს, თემებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის, მაგალითად ის, რომ მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს აღწერს მათემატიკური ცნებების, ობიექტებისა და ენის გამოყენებით.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები.
ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.კათედრების მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწავლის პიროვნული ზრდისა და განვითარების პროცესი. შესაბამისად, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ვალდებულებას). ყველა საგანთან მიმართებაში, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების მექანიზმი, რაც ორიენტირებულია მოსწავლის მიღწევებისა და შედეგების წარმოჩენაზე. საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლის შეფასება, გარდა აკადემიური მოსწრებისა, მის განვითარებას უწყობს ხელს, რისთვისაც კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მოსწავლის წინსვლასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მოთხოვნის შესაბამისი კონკრეტული რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.

ყველა საგნის შედეგებიდან გამომდინარე , სკოლაში შეფასების სისტემა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე არის ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან გამოიკვეთა,რომ მასწავლებლები საბაზო საფეხურზე შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის გაზრდის მიზნით ირჩევენ შფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მაგ: მოსწავლეთა პრეზენტაციებს, ნამუშევრების გამოფენას, დამოუკიდებელ თუ ჯგუფურ სამუშაოს და სხვა. ეს განპირობებულია იმით, თუ რომელი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული მასწავლებელი, რომელი კონკრეტული სასწავლო მიზნებია დასახული მოცემულ მომენტში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. განმავითარებელი შეფასება დაფუძნებულია სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტზე, რისი ნიმუში კათედრამ წარმოადგინა ისტორიის საკითხის- ნეოლითური რევოლუციის მიხედვით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილია მოქალაქეობის მაგალითზე და პასუხობს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს.

უცხოურ ენებში საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. ამას გარდა ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

5.საბაზო საფეხურზე კათედრები არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ მოსწავლეთა მიღწევების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს; შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრებზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ორჯერ ჩაატარდება დიაგნოსტიკური შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია,რომლის მიხედვითაც სკოლა ვერიფიკაციის განხორციელებას გეგმავს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი(რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;ვერიფიკაციის პროცედურა.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6.სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. რეგულაციების შესაბამისად ხორციელდება მოსწავლის ნამუშევრების შენახვა.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- მოსწავლეთა პორტფოლიოები.
- დირექტორის ბრძანება შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ(ბრძანება N2-77,10.08.2023წ.)
- შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. საბაზო საფეხურზე სწავლება ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან; მოსწავლეთა მხარდაჭერას ემსახურება პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში. თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად.სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს , მაგალითად, სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი ოქმები და ანგარიშის ფორმები. მეთოდოლოგიურ დანართში წარმოდგენილია კონკრეტული საკითხები, პროცესები, რომლებიც გახდება განხილვის, შეფასების, ანალიზის საგანი და დაკონკრეტდება პრაქტიკული თვალსაზრისით, სად და როგორ უნდა აისახოს დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები/ გაკეთებული დასკვნები.

წარმოდგენილი მასალები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით სკოლა ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს, რაც გულისხმობს კონსტრუქტივისტული მეთოდის მიხედვით მის ეტაპობრივ დამუშავებას და ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ცოდნის აგებასა და გააზრებას. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხოციელების მიზნით მაგალითად,საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით კომპლექსური დავალებების ადაპტირებასა და განხორციელებას (მაგ: წარმოდგენილია გეოგრაფიის ნიმუში, მთიანი მოსახლეობის მიგრაციის შესახებ), რის მიხედვითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებები.სპორტის მიმართულებით მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ წრეები, კლუბები, მათი ინტერესებისა და შეხედულებების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის სპორტულ ოლიმპიადაში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმის შემუშავებისას თუ დანერგვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების აზრსა და შესაძლებლობებს, რაც გულისხმობს იმას, საბაზო საფეხურსა თუ შესაბამის კლასში კომპლექსური დავალებების რაოდენობების შერჩევისას აანალიზებენ კოლეგების მზაობას ამ დავალებების განსახორციელებლად. ითვალისწინებენ იმას, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი იყოს მასწავლებლებისათვის, რათა ამ პროცესში არ დაზარალდეს მოსწავლის ინტერესი და საჭიროება
სკოლაში სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი: მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი. ამას ადასტურებს შექმნილი პროექტები და კლუბები. მაგალითად, ტექნოლოგიების მიმართულებით სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,ტოლერანტობა ქმნის ჰარმონიას 1 " და ,,ტოლერანტობა ქმნის ჰარმონიას 2 ", რომლის განხორციელებაშიც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი იყო ჩართული.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.

4.პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, თანამშრომლობის აუცილებლობა, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.

პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად, გარდა კურიკულუმის დახვეწისა, სკოლას მრავალი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება შეუძლია. კერძოდ: მათემატიკური პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფინანსური უნარების განვითარების მიზნით; - ასევე ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ყველა საგანთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .მეთოდოლოგიური დანართი.
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- კათედრის ანგარიშის ფორმები და შეხვედრის ოქმები.
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმასაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში,, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გათვალისწინებულია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი. პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სასწავლო შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს.
სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, ასევე სკოლის ბანკის შექმნას, რომელშიც განთავსდება მონიტორინგისა და შეფასების მასალები შერჩეული პასუხისმგებელი პირის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.მასწავლებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით.თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან კურიკულუმის მონიტორინგი აღქმულია არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად. მასწავლებლები იცნობენ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს და ხდება მათი გამოყენება კურუკულუმის განხორციელების პროცესში აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამისთვის იყენებენ ე.წ კრიტიკული მეგობრის, კითხვარებს (მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად) და სკოლის ბაზაზე შექმნილი ხარისხის ჯგუფის მხარდაჭერას, რომელთა რეფლექსიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფუძველზე ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება და პოზიტიური უკუკავშირის შედეგად მათ განვითარებაზე ზრუნვა,
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ სამომავლოდ მოხდება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. მოხდება უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწყებითის პედაგოგები წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე აანალიზებენ, რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში ასახოს დეტალური ინფორმაცია კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ.

სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრებისა და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი ურთიერთდასწრების ფორმებით. ეს ფორმები ნაწილობრივ პასუხს სცემს შეკითხვებზე - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები.
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.
- შეფასების რუბრიკები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- საგნობრივი კათედრის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია შეფასების პრინციპები. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს მოსწავლისა და სასწავლო პროცესების შესახებ ინფორმაცია შეგროვებას სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ამისთვის გამოიყენებენ როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე დოკუმენტური თუ სტატისტიკური ტიპის რესურსს.
მაგალითად, სახელმწიფო ენის კათედრის წევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აღნიშნული პროცესის შესაფასებლად კათედრის წევრების მიერ ერთობლივად შემუშავებული მონაცემთა შეგროვების მექანიზმები/ ინსტრუმენტები, წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში, რომელიც შემუშავების პროცესშია, ამ ეტაპზე მათი ხედვა წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ცალკეული შეფასების რუბრიკით, კითხვარებით, ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული გამოკითხვითა და გაიდლაინებით.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხის გამოყენება: ელექტრონული ფოსტა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხის გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებელები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულ შედეგებს; ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურ მდგომარეობას, რელიგიას და სხვა. სასურველია, სკოლამ სამომავლოდ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.

მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემიდან: ოჯახი, ჯანდაცვა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგანმანათლებლო პროექტები;
- ზეპირი ინტერვიუ;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას წარმოდგენილი აქვს, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია გადასინჯვისა და რევიზიის საკითხი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან და გასაუბრებებიდან ირკვევა , საბაზო საფეხურის კათედრები გეგმავენ შეაჯამონ ურთიერთდასწრების ანალიზები და მოსწავლეთა პორტფოლიოები, ანალიზის შედეგად გამოიტანონ დასკვნები და სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი შექმნან. კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ, გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები, როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის განმავლობაში? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლისა და მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგაოდებაში და ა.შ. აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, იგეგმება ამ მიმართულებით კონკრეტული ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მექანიზმის შემუშავება, რომელიც აისახება მეთოდოლოგიურ დანართში.2023-2024 სასწავლო წლისთვის კურიკულუმში ასახული იქნება წინა წლის ძლიერი მხარეები, ხოლო სუსტი მხარის გაუმჯობესებისთვის დაიგეგმება შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტშია აღნიშნული, კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის ასევე გასათვალისწინებელია სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებელთა ინტერვიუ.
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

საშუალო საფხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) **საშუალსა ფეხური**	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას დაწესებულებამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნაჩვენებია, როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. სკოლაში შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრების მიერ. კათედრებს შორის, სამუშაო შეხვედრებზე, მიმდინარეობს მსჯელობა შეფასების კრიტერიუმებზე, სასწავლო მეთოდებსა თუ აქტივობებზე, მოსწავლეების სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მუშაობის პროცესში შეავსეს კონცეპტუალური ჩარჩოები და შეიქმნა კურიკულუმი, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე .

მაგალითად , სახელმწიფო ენის მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა ცალკეული დოკუმენტები, ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ანგარიშები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გაიდლაინები პედაგოგებისთვის, გაიდლაინი მოსწავლეებისთვის, გაიდლაინი მშობლებისთვის, კითხვარები მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებისთვის, მასწავლებელთა, მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული კვლევის ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და მათი გათვალისწინების ფაქტზე.

ასევე, მათემატიკის მიმართულებით, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან: მშობლებთან და მოსწავლეებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლაში საშუალო საფეხურის ყველა საგანში შემუშავებულია მესამე თაობის სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული კურუკულუმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, კათედრის ფუნქციები, დამრიგებელთა მუშაობის პრინციპები, კათედრის ანგარიშებში ასახული აქტივობების ანალიზი ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც არის შექმნილი საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, კურიკულლუმების შინაარსობრივი ნაწილი წინა სასწავლო წლის ფარგლებში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერსებისა და სურვილების გათვალისწინებითაა შექმნილი.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით შექმნილია საშუალო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები. კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის აქტივობებს, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, კვლევის შედეგები, მოსწავლეთა, მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფებში ჩატარებული გასაუბრების შედეგები, მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა კითხვარში გამოკვეთილი დასკვნები, შეხედულებები მათ ინტერესებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით და სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული თითოეული მოსწავლის საჭიროებების დადგენის პროცესში და ითვალისწინებს კურიკულუმის აგების დროს. ეს ასევე დასტურდება სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებებით გეოგრაფიაში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროექტებით სამოქალაქო განათლების მიმართულებით. სასკოლო საზოგადოების ინტერესები ასახულია სხვა საგნობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და კათედრის წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლი, შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის ჩართულობა და როლი. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის შემუშავება და დახვეწა,

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმები შემუშავებულია საგნის მასწავლებლების მიერ ერთობლივად საშუალო საფეხურის კათედრაზე. მოსწავლეები გამოხატავენ თავიანთ ინტერესს, ხოლო მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ კომპლექსური დავალების დაგეგმვის დროს. მშობლები მხოლოდ განხორციელების პროცესში ერთვებიან. კათედრა შემუშავებულ კურიკულუმებს აცნობს სასკოლო საზოგადოებას და ითვალისწინებს მათ უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში ჩანს სხვა საგნების მაგალითზეც.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში არსებული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ამ მიზნით, სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებელი მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობს საინფორმაციო შეხვედრას. პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ, კურიკულუმის პირველადი ვერსია გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს- კათედრაზე და მშობლებს - მშობელთა კრებაზე, მიღებული უკუკავშირი და მათი შეხედულებები გაითვალისწინონ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით, პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის შექმნის პროცესში ჩართული იყო კათედრის ყველა პედაგოგი, მათ გაითვალისწინეს წინა სასწავლო წლის გამოცდილება, მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისი შინაარსი ასახეს კურიკულუმის ჩარჩოებში. კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია,რომ კურიკულუმის შექმნის პროცესში ჩართული არიან პედაგოგები, დირექცია, მშობლები, შესაბამისად, დოკუმენტი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან სხვა საგნებშიც.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- გაიდლაინი პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის.
- მოსწავლის, მასწავლებელთა, მშობელთა კითხვარი.
- საგნობრივი კათედრის შეხვედრის ოქმები.
- კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
- ისგ-ს მიხედვით ადაპტირებული კომპლექსური დავალებები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურისათვის;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- კვლევა სკოლის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული გეგმის გადახედვაზე.
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდეგენილია საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის- სამიზნე ცნების დამუშავებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგების დაუფლებას. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, მზაობასა და გამოცდილებებს. მაგალითად, ესთეტიკის მიმართულების საგნობრივ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას. ეს ფაქტორები გამოიკვეთა როგორც მუსიკის, ასევე ხელოვნების კურიკულუმებში, რომლებშიც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საშუალო საფეხურის საგნობრივი პროგრამების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. ცხადია, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. სრულყოფილად და გასაგებადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი.

საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმები ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე, როგორც გრძელვადიან მიზანზე. შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას.ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმები მთლიანად პასუხობს ე.ს.გ. მოთხოვნებს,თუმცა თემა „ოლიმპიზმში“ არ არის გამოყოფილი საკითხები თითოეულ კლასში, აღნიშნულის შესახებ მზაობას გამოხატავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი კათედრასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ერთად, მთლიანობაში მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლისთვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებაზე (მაგ: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ.), რასაც უზურუნველყოფს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები. სხვ.), აღნიშნული ასევე ჩანს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში.სკოლის მიერ წარმოდეგენილია საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნის-სამიზნე ცნების დამუშავებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგების დაუფლებას. პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, მზაობასა და გამოცდილებებს. შესაბამისად, პედაგოგებს გააზრებული აქვთ სტანდარტის საფეხურეობრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები.
ესთეტიკის მიმართულებაში პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. ჩანს შუალედური მიზანი და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.
მათემატიკის კურიკულუმში ჩანს, თუ რომელ საგნობრივ საკითხებს, კომლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებსა და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება.მაგალითად, მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ, საშუალო საფეხურის ნიმუშად გადმოგზავნილი კურიკულუმი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათი ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა, რომლებიც მე-10 კლასშია შეტანილი, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საზოგადოებრივ მეცნიერებებში პედაგოგები ახდენენ დიფერენცირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას, რაც გამოიხატება მოწავლეზე მორგებული სასწავლო მასალითა და რესურსებით, მათ შორის ადაპტირებული კომპლექსური დავალებების მიხედვით სსმ მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, რომლის ნიმუში წარმოდგენილია გეოგრაფიის მაგალითზე.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.წარმოდგენილი საშუალო საფეხურის რუბრიკების საფუძველზე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ როგორც ზოგადი შეფასების სქემებს, ასევე კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა მიემართება მოსწავლეთა შედეგების ინდენტიფიცირებას, მიღწევების გაუმჯობესებასა და სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებს.
სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაწერილ თემებთან და დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებთან დართულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა სკოლამ. რუბრიკების განვითარებასა და დახვეწაზე პედაგოგი გამოხატავს მზაობას, რის შედეგადაც შეფასების რუბრიკები საშუალებას მისცემს მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ესთეტიკის მიმართულებით, პროექტულ სწავლებაში პედაგოგები იყენებენ მხოლოდ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ინტერვიუსას აღინიშნა, რომ განმავითარებელი შეფასება მათ აძლებთ შესაძლებლობას, მოახდინონ სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ხოლო მოსწავლეებს მისცენ უკუკავშირი და განვითარების საშუალება.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.გასაუბრებისას კათედრებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში.. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლაში მიღებულია გასული წლის კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვის პრაქტიკა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის საგნობრივი ჩარჩოები.
- განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
- ინსტრუმენტი მოსწავლის მიმდინარე მიღწევების შესაფასებლად.
- სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგები ;
- საშუალო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სასწავლო პროცესი სკოლაში წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში; პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მაღალია მოსწავლეთა არჩევანის თავისუფლების ხარისხი. სკოლაში საშუალო საფეხურზე შემუშავებულია კომპლექსური დავალებები, რაც თავის თავში გულისხმობს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, საბოლოო ნაშრომის შექმნა კი შემოქმედებითობას მოითხოვს, რაც საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.
პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის (მე-10 კლასის) კურიკულუმის შინაარსობრივ ნაწილში ასახულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი უნარების გაუმჯობესებას. კათედრამ ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევრები და სასწავლო პროექტი მოქალაქეობაში, რის მიხედვითაც ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შემოქმედებით პროცესში, ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს და უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს.

საშუალო საფეხურზე , ესთეტიკის მიმართულებით, მოსწავლეთა როლი აქტიური ხდება პროექტის თემების განსაზღვრაში. ეს თავისთავად ამაღლებს სწავლების პროცესში მოტივაციას და იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებითა და სწავლების თანამედროვე სტრატეგიებითაა საგნობრივი კურიკულუმი წარმოდგენილი, მასში მოცემული დავალებები კი შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია, რომ სასწავლო პროცესი აგებულია კონსტრუქტივისტულ სასწავლო პრინციპებზე. კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებასა და გააზრებაში. კურიკულუმში წარმოდგენლი თემები, საკითხები, კონტექსტმაგალითები ლოგიკურ ურთიერთმიმართებაშია და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. პედაგოგებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ.
მაგალითად, ტექნოლოგიების მიმართულებით კომპლექსური დავალების ეტაპები და გაკვეთილის აქტივობები ისე არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებს, მიმართულია ახალი ცოდნის კონსტრუირებისკენ და მიჰყვება მოსწავლის განვითარების დინამიკას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, ანალოგია, ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის აქტივობებში და შექმნას სასურველი პროდუქტი.
ყველა საგანთან მიმართებაში, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.საშუალო საფეხურის დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მამოტივირებელი ფაქტორია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. პედაგოგები ცდილობენ სისტემატურად იმუშაონ იმაზე, რომ მოსწავლემ იაზროვნოს კრიტიკულად, შეძლოს უკუკავშირი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა დაეხმარა ნამუშევრის შექმნაში, რას შეცვლიდა ხელახლა რომ ასრულებდეს დავალებას და ა. შ. აღნიშნული გულისხმობს, რომ მოსწავლეს უვითარდება სწავლის პროცესის მონიტორინგისა და მართვის უნარები, ახდენს რეფლექსიას.

უცხოურ ენებში, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრიერება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც.

ესთეტიკის მიმართულებით, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი პროექტული სწავლების მეთოდიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. სასწავლო რესურსები და საკვლევი მასალა გამომდინარეობს მოსწავლეთა ინტერესებიდან და იძლევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარების საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4.საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

მათემატიკაში მე-10 კლასში შეტანილი კომპლექსური ბუნების დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული საფეხურის კლასებში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებიც გათვლილია, როგორც დეკლარატიულ, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებაზე.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში სკოლას წარმოდგენილი აქვს საშუალო საფეხურის (მე-10 კლასის) კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელთა ნაწილი კათედრის მიერ უკვე განხორციელდა თემატურ მატრიცაში გაწერილი ნაბიჯებისა და ეტაპების მიხედვით, რაც ცოდნის სამი პირობის მიხედვით კონსტრუირებას უწყობს ხელს.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთება თემათა ისეთი თანმიმდევრობა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას უზრუნველყოფს. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ამ მიზანს ემსახურება კომპლექსური დავალებები, რომლებშიც ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი სხვადასხვა თემატურ კონტექსტში.

მათემატიკაში , საშუალო საფეხურის მე-10 კლასისთვის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების სრულ ვერსიაში გაწერილია შუალედურ სასწავლო მიზნებთან მისასვლელი ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას განაპირობებს. როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ხშირია არაფორმარულ გარემოში მოსწავლეთა ცოდნის გადატანა და ურთიერთდაკავშირებაც. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს საგანთა შორის ინტეგრაცია.ესთეტიკის მიმართულებაში პროექტული სწავლებით მეთოდიკა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. შერჩეული პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რომლებიც მას სჭირდება პრობლემის გადაჭრისას.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- მატრიცები დანართის სახით:
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურისათვის;
- მასწავლებელთან ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილია საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც კონკრეტული საკითხის მიხედვით შექმნილია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც კავშირშია საამიზნე ცნებასთან. პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ფლობაზე, რის მიხედვითაც კომპლექსური დავალების კრიტერიუმები შემუშავებულია და ეტაპობრივად ხდება მისი განხორციელება,
ესთეტიკის მიმართულებით, პროექტული სწავლების დაგეგმვისას გათვალისწინებულია სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. ხელოვნებასა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია , თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული შერჩეული პროექტები.

უცხოური ენების მიმართულებით კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის კონკრეტული ნიმუში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.კათედრების მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის ვალდებულებას).

ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ უფრო დეტალიზებული შეფასების რუბრიკების შექმნას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას და პედაგოგები გამოხატავენ შესაბამის მზაობას. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, მომავალში პედაგოგები გეგმავენ მოსწავლეების შედეგების შეფასებას სოლო ტაქსონომიის შეფასების რუბრიკით, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გაცნობიერებაში.

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.საშუალო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ გამოიყენონ ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა. შეფასების კრიტერიუმების შემუშავების დროს კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს ცოდნას და გამოცდილებას, მუშაობენ ერთად ამ მიმართულებით. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს.

სპორტის მიმართულებით, მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ მათ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. ფიზიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა,

საზოგადოებრივ მეცნიერებებში საშუალო საფეხურზე, კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. განმავითარებელი შეფასება დაფუძნებულია სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტზე, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებზე. შეფასების სისტემა აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს ყველა საგანთან მიმართებაში.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5.საშუალო საფეხურზე კათედრები არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ მოსწავლეთა მიღწევების, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს; შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლოწლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ორჯერ ჩაატარდება დიაგნოსტიკური შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია,რომლის მიხედვითაც სკოლა ვერიფიკაციის განხორციელებას გეგმავს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი(რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;ვერიფიკაციის პროცედურა.

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6.სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და მათი შეფასებების შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. რეგულაციების შესაბამისად ხორციელდება მოსწავლის ნამუშევრების შენახვა.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- მოსწავლეთა პორტფოლიოები.
- დირექტორის ბრძანება შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ(ბრძანება N2-77,10.08.2023წ.)
- შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქცია.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. საშუალო საფეხურზე სწავლება ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან; მოსწავლეთა მხარდაჭერას ემსახურება პოზიტიური გარემოს შექმნა სკოლაში. თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც ნათლად ჩანს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. პედაგოგებთან შეხვედრის დროს ხაზი გაესვა პოზიტიური გარემოს შექმნის მნიშვნელობას მოსწავლეთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათთვის პრიორიტეტულია მოსწავლე ვითარდებოდეს ისეთ გარემოში, სადაც თავისუფლად ექნება საკუთარი შესაძლებლობების, იდეების, სურვილების გამოვლენის საშუალება.

წარმოდგენილი მასალები იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია.

2.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მის ინტერესებსა და წინარე გამოცდილებაზე. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებასა და ჩართულობის გაზრდას; კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინება, დიფერენცირებულ მიდგომები, არჩევითი დავალებებისა და სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების შეთავაზება,უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ როლს სასწავლო პროცესში.
სახელმწიფო ენის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის / გზის შესაქმნელად, რომელიც შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ მასწავლებლის მიერ უნდა ტარდებოოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომელთა ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. საშუალო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმის შემუშავებისა თუ დანერგვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების აზრსა და შესაძლებლობებს, რაც გულისხმობს იმას, საბაზო საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას აანალიზებენ კოლეგების მზაობას ამ დავალებების განსახორციელებლად. ითვალისწინებენ იმას, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი იყოს მასწავლებლებისათვის, რათა ამ პროცესში არ დაზარალდეს მოსწავლის ინტერესი და საჭიროება.მაგალითად, საბუნებისმეტყველო მიმართულებით, სკოლაში სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს შორის ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი ურთიერთობები, რაც იგრძნობა ამ კათედრის მასწავლებლებს შორის, ისინი განსაკუთრებით ლაბორატორიული მეცადინეობების დროს ეხმარებიან ერთმანეთს და ახორციელებენ საინტერესო აქტივობებს.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

4.პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მიღწეულია პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რასაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, აღიარება, მიკუთვნებულობის განცდა. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრების წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, თანამშრომლობის აუცილებლობა, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად. კურიკულუმებში მოცემული საკითხები, კომპლექსური დავალებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო განმავითარებელი შეფასებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სუსტი მხარეების გაძლიერებაში.
უცხოური ენების პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი საკლასო გარემოს შექმნაში და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მეთოდოლოგიური დანართი.
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.
- კათედრის ანგარიშის ფორმები და შეხვედრის ოქმები.
- კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმასაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები ;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ინტერვიუს კათედრების წევრებმა გამოხატეს მისი შედგენის მზაობა. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ჯგუფის წევრები წინასწარ შემუშავებული რუბრიკების მიხედვით აკვირდებიან თითოეული პედაგოგის საქმიანობას და მასწავლებელს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.მასწავლებელთა რეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ისინი ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებასა და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან კურიკულუმის მონიტორინგი აღქმულია არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმად. მასწავლებლები იცნობენ მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს და ხდება მათი გამოყენება კურუკულუმის განხორციელების პროცესში აღმოჩენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამისთვის იყენებენ ე.წ კრიტიკული მეგობრის, კითხვარებს (მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად) და სკოლის ბაზაზე შექმნილი ხარისხის ჯგუფის მხარდაჭერას, რომელთა რეფლექსიის საფუძველზე ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირება და პოზიტიური უკუკავშირის შედეგად მათ განვითარებაზე ზრუნვა,

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ სამომავლოდ მოხდება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. მოხდება უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინება.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3.ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის პედაგოგები წლის ბოლოს შეხვედრებზე ახდენენ კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე აანალიზებენ, რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ეძებენ პრობლემების გადასაჭრელ გზებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად დაისახება მათი გადაჭრის გზები, სკოლა გეგმავს მომდევნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო წლიდან სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია კურუკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ.მაგალითად, ესთეტიკის მიმართულებით, პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრას ახორციელებენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით და ცალკეული აქტივობების გამოყენებით. ასევე კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც მოხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, ახალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.
- შეფასების რუბრიკები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს მოსწავლისა და სასწავლო პროცესების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. ამისთვის გამოიყენებენ როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე დოკუმენტური თუ სტატისტიკური ტიპის რესურსს.

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად,კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები მონაწილეობენ შეფასების პროცესში. მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი აგროვებს ინფორმაციას. მაგალითად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის, არსებული გამოცდილებით, იყენებენ საგნის მასწავლებლების რეფლექსიებს, მოსწავლეთა გაკვეთილის შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკებს, ასევე სასწავლო პროცესის შეფასება მოხდა დამრიგებლებისა და მშობლების გამოკითხვით.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს მოსწავლისა და სასწავლო პროცესების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ამისთვის გამოიყენებენ როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე დოკუმენტური თუ სტატისტიკური ტიპის რესურსს.

კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუსას აღინიშნა,რომ სკოლაში შეფასების მრავალფეროვან მეთოდს იყენებენ, ესენია: ,,კრიტიკული მეგობარი“, თვითრეფლექსია, SWOT - ანალიზს, დაკვირვებას და ა. შ. გარდა ამისა, ახდენენ მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვას. მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს .

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, ბეჭდვითი სიტყვა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. შესწავლილი დოკუმენტაციის დასტურდება, რომ მასწავლებელები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულ შედეგებს; ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურ მდგომარეობას, რელიგიას და სხვა. სასურველია, სკოლამ სამომავლოდ შეფასებისას გამოიყენოს მრავალმხრივი მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას.
მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- . სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგანმანათლებლო პროექტები;
- ზეპირი ინტერვიუ;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია გადასინჯვისა და რევიზიის საკითხი. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან და გასაუბრებებიდან ირკვევა, საშუალო საფეხურის კათედრები გეგმავენ შეაჯამონ ურთიერთდასწრების ანალიზები და მოსწავლეთა პორტფოლიოები, ანალიზის შედეგად გამოიტანონ დასკვნები და სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი შექმნან.

კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები,როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგადებაში და ა.შ. აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, იგეგმება ამ მიმართულებით კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მექანიზმის შემუშავება, რომელიც აისახება მეთოდოლოგიურ დანართში.2023-24 სასწავლო წლისთვის კურიკულუმში ასახული იქნება წინა წლის ძლიერი მხარეები, ხოლო სუსტი მხარის გაუმჯობესებისთვის დაიგეგმება შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2.როგორც მეთოდოლოგიის დოკუმენტშია აღნიშნული, კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.
სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; - კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ახალი კურიკულუმის განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ზემოთაღნიშნულთან ერთად სწავლა-სწავლების მიზნები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდები,შეფასება და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- მასწავლებელთა ინტერვიუ.
- შეფასების რუბრიკები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 23.10.2023წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /მაია ბუაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დავით ჩივაძე-

ეკატერინე მიქაუტაძე-


ნიკა უთალიშვილი-

ინგა გელაშვილი-

მაკა გიორგბერიძე-

ვერა გუდაძე-


მარიამი ღუბელაძე-


ჯულიეტა ტაბეშაძე-

მიხეილ გაფრინდაშვილი-

მანანა როსტომაშვილი-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---